ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №.....

ქ. ბათუმი ---- ---------- 2026 წელი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მეორადი, გზის გამყოფი კონსტრუქციის (მოაჯირის) სსიპ „საქართველოს საპატრიარქო“-სათვის უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის, საქართველოს საპატრიარქოს ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტის მდივნის 2026 წლის 12 ივნისის №10/1426163504-14 (№61) წერილის საფუძველზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, გადაწყვიტა:

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 400 გრძივი მეტრი მეორადი გზის გამყოფი კონსტრუქციის (მოაჯირის) ეკლესია/მონასტრების (160 გრძივი მეტრი - საქართველოს საპატრიარქოს, ქობულეთის წმინდა მღვდელმოწამე კირიონ კათოლიკოსის სახელობის და წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრისათვის; 160 გრძივი მეტრი - საქართველოს საპატრიარქოს, სოფელ ბობოყვათის ახალმოწამეების მშენებარე და წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძრისათვის; 80 გრძივი მეტრი - საქართველოს საპატრიარქოს, სოფელ კვირიკეს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ღირს არსის“ ხატის სახელობის მშენებარე ტაძრისათვის) ეზოების შემოღობვის მიზნით, სსიპ „საქართველოს საპატრიარქო“-სათვის უსასყიდლოდ, მუდმივ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს დაევალოს ამ განკარგულებიდან გამომდინარე შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ივანე მაისურაძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მეორადი, გზის გამყოფი კონსტრუქციის (მოაჯირის) სსიპ „საქართველოს საპატრიარქო“-სათვის უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა საქართველოს საპატრიარქოს ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტის მდივნის 2026 წლის 12 ივნისის №10/1426163504-14 (№61) წერილი საქართველოს საპტრიარქოს ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის ეკლესია/მონასტრების ეზოების შემოღობვის მიზნით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მეორადი, გზის გამყოფი კონსტრუქციის (მოაჯირის) სსიპ „საქართველოს საპატრიარქო“-სათვის უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, კერძოდ:

160 გრძივი მეტრი - საქართველოს საპატრიარქოს, ქობულეთის წმინდა მღვდელმოწამე კირიონ კათოლიკოსის სახელობის და წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრისათვის;

160 გრძივი მეტრი - საქართველოს საპატრიარქოს, სოფელ ბობოყვათის ახალმოწამეების მშენებარე და წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძრისათვის;

80 გრძივი მეტრი - საქართველოს საპატრიარქოს, სოფელ კვირიკეს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ღირს არსის“ ხატის სახელობის მშენებარე ტაძრისათვის.

მოქმედი კანონმდებლობით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი უფლებამოსილი არაა მუნიციპალიტეტის ქონება სარგებლობაში გადასცეს უშუალოდ ეკლესია/მონასტრებსა და გიმნაზიას. ამასთან, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, შესაბამისი მომართვის შემთხვევაში მუდმივ სარგებლობაში გადასცეს სსიპ „საქართველოს საპატრიარქო“-ს. შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ მოთხოვნილი მეორადი გზის გამყოფი კონსტრუქციის - მოაჯირის (400 გრძივი მეტრი) ეკლესია/მონატრების ეზოების

შემოღობვის მიზნით მუდმივ სარგებლობაში უსასყიდლოდ გადაეცეს სსიპ „საქართველოს საპატრიარქოს“.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მეორადი ქვაფენილის სსიპ „საქართველოს საპატრიარქო“-სათვის უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელება ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე არ იმოქმედებს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების მართვის
სამსახურის უფროსი **დავით კოპინაძე**